

„ნობათი“

ყრმათათვის საკითხავი ყოველ-თვიური სურათებიანი ჟურნალი, პედაგოგიურის განყოფილების დამატებით მშობელთა და აღმზრდელთათვის, ს ა ნ ი მ უ შ ო ნ ო მ ე რ ი, ანდრია ლულაძის რედაქტორობით და გამომცემლობით

(1884 წელი)

წერილი პირველი

ჩვენმა ლიტერატურამ ახალი ნაბიჯი გადასდგა. ქართულს ენაზედ ქართველი მოზარდი თაობისათვის დაიბადა პედაგოგიური ყოველთვიური გამოცემა.

ყოველი ახალი ნაბიჯი სასიამოვნოა. იგი მოასწავებს წარმატებას, წინ მსვლელობას და სახელს უკეთებს საზოგადოებას, რომელიც, ეტყობა, სცოცხლობს, მოქმედობს და არ არის ერთს წერტილზედ გაჩერებული.

ჩვენც ამ ახალს ნაბიჯს ჩვენს ნიადაგზედ, ჩვენ შორის გადადგმულს წრფელი გულით და სიამოვნებით ვეგებებით და გამარჯვებას ვეტყვით.

საყმაწვილო ლიტერატურას დიდი მნიშვნელობა აქვს ერის ცხოვრებაში, მის წარმატებაში. ეს არის საუკეთესო საძირკველი, რომელზედაც შენდება მთელი ლიტერატურა და მეცნიერება ხალხისა. გონებითი მოძრაობა ერისა ქვიშაზეა აშენებული, თუ იგი ღარიბია საყრდენით, საყმაწვილო ლიტერატურით. იგი მაგრა ადგამს ნაბიჯებს წინ, მკვიდრს წარმატებაში შედის მხოლოდ მაშინ, როდესაც მისს მოზარდ თაობას უხვად ეძლევა გონებითი საზრდო, როდესაც მისი ყრმანი გარემოცულნი არიან მრავალი ნიჭიერი ნაწარმოებითა.

დიდმა პოეტმა გერმანიისამ გიოტემ სთქვა: „არავის არ შეუძლიან განთავისუფლდეს პატარაობის დროის ჩაბეჭდილებათაგანაო“. დიად, სწორედ ეს ჩაბეჭდილებანი ჰყრიან საძირკველს მიდრეკილებისას, მიმართულებისას. ამ ადრიან ჩაბეჭდილებებზე ბევრით არიან დამოკიდებულნი კაცის მისწრაფებანი, ხასიათი, თვისებანი. თუ თქვენს შვილს პატარაობისავე მარჯვედ დაწერილნი საბავშვო ნაწარმოებნი მიიზიდვენ თავისკენ, აგრძნობინებენ სიამოვნებას, გულს საამურად უღელავენ, გონებას უვარჯიშებენ და კითხვის მოთხოვნილებას უღვიძებენ და უმტკიცებენ, იცოდეთ, რომ თქვენ გეზრდებათ ყრმა, რომელიც დიდობაში გამოიჩენს დაუღალავს გონებითს მოქმედებას, რომლისთვისაც ჭკუის მოძრაობა, ვარჯიშობა, წიგნების კითხვა, აზროვნობა, მსჯელობა იქნება ისეთივე მიუცილებელი ყოველ დღიური საჭიროება, როგორც არის წყალი თევზისათვის, ჰაერი ფილტვებისათვის. მაგრამ თუ თქვენი შვილი მოკლებულია ხეირიანს საკითხავს ნაწარმოებსა, თუ თქვენს სამშობლო ლიტერატურაში საყმაწვილო განყოფილება ცარიელია, ან სავსეა უნიჭო და უმარყო ნაწარმოებითა, მაშინ თქვენ უნდა მოელოდეთ, რომ თქვენს ყრმას გონების მადა არ გაეხსნება, აზროვნობა, მსჯელობა და საუკეთესო ნაწარმოების კითხვა და შეგნება მისთვის საჭიროებად არ შეიქმნება, და იგი გამოვა იმისთანა გულგრილი არსება, რომელიც ბევრით არაფრით განსხვავდება პირუტყვისაგან.

საყმაწვილო ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავთ პერიოდულს გამოცემათა. საბავშვო ჟურნალი, რომელშიაც ადგილი ეძლევა მხოლოდ ნიჭიერ ნაწარმოებთა, აზრით და გრძნობით სავსეთა, ბევრს სიკეთეს დასთესავს მოზარდს თაობაში, ბევრს მაღალს აზრს ჩანერგავს მის გონებაში, ბევრს ღრმა გრძნობას ჩაუსახავს და აღზრდის მის გულში, ბევრი კეთილშობილური, ჰუმანიური მისწრაფებით შეამკობს და სხვა ფაქტორებთან ერთად სამშობლოს მოუძაადებს ბევრს მხნეს და გულწრფელს მამულის-შვილსა.

მაგრამ შესაძლებელია ამ ჟამად ამ გვარი ჟურნალი ჩვენში? ბევრნი; ძალიან ბევრნი იჭვენულობენ ამაში. არა ვართ თანამოაზრენი ამ იჭვენულობისა. წინააღმდეგ ამისა, ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ გვარიანი საბავშვო ჟურნალის გამოცემა ჩვენში ბევრით უფრო ადვილია, ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდული გამოცემისა...

ერთი ძალიან სანუგეშო და საიმედო მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში გახლავთ ისა, რომ ქართველი მოზარდი თაობა ძლიერ ეტანება პედაგოგიურს განათლებას. ამ ჟამად სამი სპეციალურად პედაგოგიური სასწავლებელი არსებობს საქართველოში: თბილისის საოსტატო ინსტიტუტი, გორის საოსტატო სემინარია და ხონისა. სამივეში, ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველობა შეადგენს უმეტესობას, მაშინ, როდესაც ყველა სხვა საზოგადო სასწავლებლებში ქართული ელემენტი მეტად სუსტია... ამ სასწავლებლებიდან დასდასად გამოსულმა ყმაწვილ კაცობამ კაი სამსახური უნდა გაუწიოს ჩვენის ხალხის განათლებას საზოგადოდ და პედაგოგიურს ლიტერატურას კერძოდ, და კიდევაც გაუწევს, რის ზოგიერთა ნიშნები ახლავე სჩანს. ამას დაუმატეთ ას გარემოებაც, რომ არა ერთი ნიჭიერი პირი, საზოგადო სწავლით განვითარებული, იჩენს სურვილსა სიტყვით, კალმით და საქმით დაეხმაროს საყმაწვილო ლიტერატურის აღორძინებას, და მაშინ თქვენ სრულიად დამეთანხმებით, რომ ჩვენში საბავშვო ჟურნალს თანამგრძნობლები არ უნდა დააკლდნენ არც ეხლა და არც, მეტადრე, მომავალში. მეორე მხრით, თუ გავიხსენებთ იმ გარემოებას, რომ ჩვენში ამ ჟამად ორასამდინ სკოლა არსებობს, სამასამდის მასწავლებელი, და თვით სახლობათა შორისაც მეტ-ნაკლებობით არის აღძრული საბავშვო წიგნების კითხვის სურვილი, ცხადი შეიქნება, რომ ხეირიანს საბავშვო ჟურნალს არ დააკლდება თავისი საკუთარი პუბლიკა და ეყოლება საკმარისად მკითხველნი, დამფასებელნი.

აი რომელი მოსაზრების ძალით, უმთავრესად, ჩვენ გვრწამს საიმედო მომავალი საბავშვო ჟურნალისა, დარწმუნებულნი ვართ, რომ მას შეუძლიან იცოცხლოს მრავალ-ჟამიერ. და თუ, წინააღმდეგ ჩვენი ნატურისა და იმედისა, „ნობათი“ არ გაამართლებს ჩვენს მოლოდინსა, ჩვენს წინასწარმეტყველობას, ამის მიზეზი სრულიად არ იქნება საზოგადო მოუძაადებლობა, რომელსაც ჩვენში ხშირად თავზედ აყრიან ყოველს ცოდვას კერძო უხეირობისას, როგორც ძველნი ებრაელები შეაყრიდნენ ხოლმე თავის ცოდვებს თხასა და განუტევებდნენ ტყეში, რათა მგლებს შეეჭამათ და ამით დაესაჯათ უბრალო არსება სხვათა ცოდვათა გულისათვის. - მაგრამ, ვიმეორებთ, ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ „ნობათს“ განსატევებელი თხის მოძებნა არას დროს არ დასჭირდება და მრავალთა წელთა განშავლობაში ყოველ თვე პირნათლად გამოვა ჩვენს საზოგადოების წინაშე... ამ იმედით გამხნეებულნი ჩვენ შევუდგებით პირველი წიგნის გარჩევასა.

სანიმუშო ნომრის პირველს გვერდს ამშვენებს ლექსი თავ. რაფიელ ერისთავისა, რომელიც ხშირი და მეტად სასიამოვნო სტუმარია ჩვენის ლიტერატურისა. ლექსის აზრი („მიწვევა

სასწავლებელში") რუსულიდგან არის გადმოღებული; მაგრამ ქართულად არის გაფურჩქნული, ქართულად მონათლული და ქართულს ტანისამოსში გამოწყობილი. როგორც სხვა ლექსები პატივცემული პოეტისა ეს ლექსიც შესანიშნავია წმინდა ხალხური ენით, პოეტური კილოთი და თბილი გრძნობით. იგი სწორედ რომ კარგი შემატებაა ჩვენი საბავშვო ლიტერატურისათვის, რომელიც, ჩვენდა სამწუხაროდ, აქამდინ მეტად ღარიბია საბავშვო ლექსებითა. ამ ლექსში ცოტაოდენი ნაკლულევანება აქვს მხოლოდ ორს სტრიქონსა. „მერცხალმაც კი იჭიკჭიკა, არ და ა ა ც ხ ო ტკბილი ენა“. არ დააცხრო აქ ცოტა შეუსაბამო სიტყვაა, რადგანაც მხოლოდ მაშინ იხმარება, როდესაც ვინმე ლაპარაკს, ან სიმღერას თითქმის არა სწყვეტავს; მერცხალს კი ენა დადუმებული პქონდა მთელს ღამეს და მხოლოდ მეორე დილას ხელმეორედ მორთო ჭიკჭიკი. „არ დააცხრო“-ს მაგიერ რომ იყოს: კვლავ გვასმინა ტკბილი ენა, უკეთესი იქნებოდა. „ კოდალა ხეს უკაკუნებს და მწყერჩიტა ცაში გალობს“. მწყერ-ჩიტა ძალიან უბრალო ჩიტია, გალობის მაგიერ უსიამოვნო ჭყვილი იცის და ბუჩქების პირს სრულიად ვერ ასცილდება, ამკარაა, რომ მას აქ სრულიად უსაფუძვლოდ დაუჭერია პოეტური ჩიტის, მხიარული მომღერალის, მაღლა მფრინავის - ტოროლას ადგილი. ამ ლექსში ზოგი წუნსა სდებს ნაწყვეტნაწყვეტობას, რის გამოისათ ლექსის წაკითხვა ბოლოდგანაც შეიძლება; მაგრამ ამ ნაკლულევანებას საბავშვო ლექსში კარგი მხარეცა აქვს: რადგანაც ყოველი სტრიქონი სრულს წინადადებას შეადგენს, ამიტომ ბავშვს ამ ლექსის კითხვა, გაგება და ზეპირად დასწავლა ძლიერ უნდა გაუადვილდეს.

მეორე ადგილი ჟურნალში უჭირავს პატარა მოთხრობას „კაკანათი“, თავისი პატარა წინასიტყვაობით, რომელსაც ჰქვია „მოგონება“. მშვენიერი რამეა როგორც მოთხრობა, ისე წინასიტყვაობა. ერთიც და მეორეც მკითხველზედ ახდენენ ხელოვნური ნაწერის ჩაბეჭდილებასა და შეადგენენ პირველი წიგნის თვალსა, მარგალიტსა.

ჩვენ სახლს უკან მდებარობდა ერთი ჩარეკი ნოყიერი მიწა, რომელმაც გაზაფხულზედ იცოდა ისეთი ღაღანა, ხშირი და სრულიად უბალახო ჯეჯილი, რომ დარდით სავსე კაცსაც კი გულის სიხარულს მოჰვენდა მისი ცქერა. მზგავსსავე ჩაბეჭდილებას სახავს მკითხველის გონებაში ეს მოთხრობა, თავიდან ბოლომდინ იგი წარმოადგენს შეკუმშულს სურათს, რომელშიაც ცხადად არის დახატული ყველა უმთავრესი ნაწილები და დანარჩენი წვრილმანი ნაწილების დამატება პატარა მკითხველზედ არის მინდობილი. თითქმის ვერც ერთს სტრიქონს, ვერც ერთს წინადადებას ვერ ჰპოვებთ შიგა, რომლის ამოშლა შეიძლებოდა აზრის გაუფუჭებლად, შეუსუსტებლად. პატარა „მოგონებაში“ ავტორი თვალწინ უხატავს ნორჩს მკითხველს ყველაფერს რაც პატარა ბავშვისათვის უსაყვარლეს საგნად ჰხდის მის აღზრდის ადგილს მისი ბავშვების დროსა. ყოველს წინადადებაში გამოსჭვივის გულ - წრფელი, თბილი გრძნობა, შეზავებული მეტად სიმპატიური მელანხოლიითა... „კაკანათი“ არის ერთი იმ ამბავთაგანი, რომელნიც ავტორსა სურს მოგვითხროს თავისი ყმაწვილობის ცხოვრებიდგან. შინაარსი მისი მეტად მარტივია, თვით ავტორს, პატარაობის დროს, და მათს ბიჭს ვასიკოს ზამთარში დაუდგამთ მახე და უნდა ჩიტები დაიჭირონ. მაგრამ სხვა-და-სხვა დაბრკოლება ეღობებათ წინა, თავის გულის წადილს ვერ ეწევიან და სამა-გიეროდ მამისაგან შვილი იღებს საყვედურს, რომ ჩიტების დევნაში ჰკარგავ ძვირფასს დროსაო. აი მოთხრობის შინაარსი ამაზედ მარტივი აზრის მოთხრობა ძნელია, განა? მაგრამ საქმეც ის არის, რომ ეს უბრალო, ყოველდღიური მოვლენა ბავშვის ცხოვრებაში ისეთი სიმარჯვით არის დახატული, რომ ერთი წაკითხვით არა სჯერდებით და გინდათ რავდენჯერმე გადაიკითხოთ.

საზოგადო მსჯელობას ავტორის ნიჭიდან ეხლავე, რასა-კვირველია, ვერ გამოვსთქვამთ. ერთი მოთხრობა საკმარის საფუძველს არ გვაძლევს რაიმე გადაჭრილი შეხედულება დავადგინოთ. მხოლოდ გულით და სულით ვინატრით, რომ ავტორს მთელი რიგი ამისთანა მშვენიერი მოთხრობებისა ეჩუქებინოს ჩვენი ღატაკი საყმაწვილო ლიტერატურისათვის და სამართლიანად დაემსახურებინოს ნიჭიერი მწერლის სახელი.

„კაკანათს“ მისდევს ლექსად დაწერილი ზღაპარი „ლომ-კაცი“ რომელიც ეკუთვნის ბატ. გიორგი წერეთლის კალამსა. საბავშვო ზღაპრების წერა და ისიც ლექსითა ძლიერ ძნელია და დიდს ნიჭს და სიმარჯვეს მოითხოვს მწერლისაგან. რუსულს ლიტერატურაში მხოლოდ პუშკინმა გაბედა საყმაწვილო ზღაპრების წერა და იმანაც კი ვერ სძლია ყველა სიმძნელეს და ბევრი საფუძვლიანი საყვედური დაიმსახურა საუკეთესო რუსის კრიტიკოსებისაგან. „ნობათის“ რედაქცია, როგორც ეტყობა, ძალიან ძალა აყენებს ამ ზღაპარსა და მისთვის ორი სურათიც შეუკვეთნია პეტერბურგში. წინააღმდეგ ამისა, ზოგნი მას რაცხვენ რაღაც უხეირო ნამალადევად, რომელსაც ვერც ერთი ბავშვი ვერ წაიკითხავს სიამოვნებითა. ჩვენ ეხლა გადაჭრილს ვერაფერს ვიტყვით, ვერც ღირსებაზე და ვერც ნაკლულევანებაზე ვერ გავმართავთ საუბარსა, რადგანაც ზღაპარი ჯერედ არ არის გათავებული. მოვუცდით, წავიკითხავთ ბოლომდე, მთლად შევიტყობთ მოთხრობის ავსა და კარგსა, მაშინ დავაფასებთ და ვუჩვენებთ ჯეროვანს ადგილს ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურაში....

II

ცუდია ძალიან, როდესაც ახალს დაბადებულს ბავშვს რომელიმე ასო სახიჩარი დაჰყვება. გულით მოწადინებული ხარ მხოლოდ სიკეთე სთქვა მასზედ, მაგრამ ეს სახიჩარი ასო გეჩხირება უნებლიეთ თვალში, უტეხს სახელს ქორვა არსებასა, აფუჭებს ჩაბეჭდილებას მისგან და უნებლიეთ გათქმევინებს გასაკიცხს სიტყვასა.

ლეგენდა პაატა თემურიშვილზედ შეადგენს სწორედ ამ გვარს მახინჯს ნაწილს „ნობათისას“. წარმოიდგინეთ ისტორიული (?) ჭორების ნაფლეთები, უნიჭოთ მოგონილნი, კიდევ უფრო უნიჭოდ გამეორებულნი, უხეიროდ ერთმანეთზედ მიბმულნი, მოკლებულნი მარილს, კავშირს, აზროვნობას, სიმართლეს და ყოველს ღირსებას გონებითის ნაწარმოებისას და თქვენ შეადგენთ უტყუარს აზრს ამ ლეგენდაზედ. არც ერთს სტრიქონს, არც ერთს წინადადებას არ აზის ბეჭედი ცოტაოდნათ მაინც გახსნილის, განვითარებულის გონებისა. ისტორიული გმირები აქ ისე მოქმედობენ, თითქო უბრალო მოხეტიალენი იყვნენ, გზასა და კვალს დაბნეულნი. მოვიყვანოთ რავდენიმე ადგილი ნიმუშად დამწერის ენისა, აზროვნებისა, მსჯელობის თანხმობისა ისტორიულ ფაქტებთან. „ირაკლის მეფობის დროს ბევრად გაუმჯობესდა საქართველო და მისი ერის მდგომარეობა, რადგანაც საეროსა და უფრო სამხედრო სამსახურს ამ დროს სულ სხვა კაცები განაგებდნენ... ირაკლი მეორის დროს საშინელი არევ-დარევა ხდებოდა ხოლმე ჩვენს ქვეყანაში (ძალიან გაუმჯობესებულა მაშ)... ამ დროს სპარსეთის ყეინებმა (ერთსა და იმავე დროს თეირანის ტახტზედ რავდენიმე ყეინი მჯდარა, ავტორის აზრით), საჩქაროდ გამოგზავნეს თავიანთ ვალები (?) და დააყენეს საქართველოში, რომ მეფე ირაკლისათვის თვალი ედევნათ... ამ ამბის შეტყობამ მეფე ირაკლი

ძალიან შეაწუხა, ასე რომ მისი შეწუხება მთელს ქართლ-კახეთს მოეფინა... დაუახლოვდნენ თუ არა პატარძელის ციხეს, დაუნახავთ, რომ "... და სხვანი....

შიგა და მიგ ვითომ ხალხისაგან გამოთქმული ლექსებიც არის ჩართული; მაგრამ, ღმერთო ჩემო, როგორი? ესენი მოგაგონებენ სვანურს ლოცვებს, რომლებშიაც „ მამაო ჩვენო"-ს თავი „მრწამსი"-ს შუა წელს შეადგენს, „მიწყალეს" ბოლოს მრწამსის შუა წელი და სხვანი. სრულიად სხვა-და-სხვა ლექსების ნაფლეთები, გადასხვაფერებულნი და დამახინჯებულნი, ავტორს ერთმანეთზედ მიუკოწიწებია და შეუდგენია ისეთი უცნაური და უაზრო რამ, რომ მკითხველი სახტად რჩება.

პატარა მკითხველი ამ ლეგენდისგან გამოიტანს იმ შეხედულობას, რომ ერეკლე მეორე უძლური გოდების და წუხილის კაცი იყო, რომ მის სიტყვას ისეთი ნაკლები ძალა ჰქონდა, რომ, თუ თვითონ არ დაადგებოდა თავს ციხის მკეთებლებსა, ხელს არავინ გაანძრევდა, რომ თავადაზნაურობა ღალატობდა ქვეყანასა, სტანჯავდა გლეხებსა, რომ კარის კაცნი შურით სავსენი იყვნენ და ჩუმად ხოცდნენ იმისთანა დაწინაურებულს პირებს, როგორც იყო თემურიშვილი, რომ მაშინ გმირის სახელის დამსახურება ძალიან ადვილი იყო, რადგანაც ამისათვის კმაროდა კაცი ჯარში ჩაწერილიყო, ომის დროს სისხლი ეღვარა (თითქო სხვანი კი რძესა ღვრიდნენ) და თუ ორიოდე ლეკი, თუ თათარი მოიტაცებდა ვისმე, გამოსდგომოდა, ღამე დასცემოდა, დაეხოცნა, წაერთვა ტყვე და უკან დაბრუნებულს მიეღო შეფისაგან ზედ შუბლზედ კოცნა და „ უპირატესი ადგილი".

ცხადია, რა მავნებელი გავლენა, დამამახინჯებელი ზედმოქმედება უნდა ჰქონდეს ნორჩს ტვინზედ, მის განვითარებასა და აზროვნობაზედ, მისს მიდრეკილებასა, მისწრაფებასა და ხასიათზედ ამისთანა უნიჭო და უვიცი ტვინის ყოვლად უვარგის ნაწარმოებსა. - რა ძალა ადგა რედაქციას, როდესაც ამ ნაჯღაბნს აძლევდა ადგილს ჟურნალში? მას უთუოდ სურდა ისტორიული რამე მოექცია პირველსავე ნომერში და რადგანაც ხეირიანი რამ ვერ მოუხელებია, იძულებული გამხდარა ჩაეკერებინა ეს ლეგენდა. მაგრამ ბევრით, ძალიან ბევრით, უკეთესი იქნებოდა, რომ ისტორიული წერილი ჰკლებოდა ჟურნალსა, ვიდრე დამახინჯებულიყო ამ გვარი წერილით. სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამისთანა შეცდომას შემდეგში ყოველთვის თავიდან აიცილებს „ნ ო ბ ა თ ი".

ისტორიულს მოთხრობებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ბავშვის აღზრდაში, საუკეთესო მამულის-შვილების მხურვალე სიყვარული თავის ქვეყნისა, თავისი სარგებლობის დავიწყება მის სიკეთისათვის და თავდადება მამულის ბედნიერებისათვის უპირველესს ღონისძიებად ირიცხებიან ჩასანერგად და აღსაზრდელად მოზარდი თაობის შორის მაღალი ზნის პრინციპებისა. პლუტარხის გმირების ცხოვრების მოთხრობებსა მრავალი პირი აღუვსია მამულის მხურვალე სიყვარულით, კაცობრიობის ბედნიერებისათვის თავდადებულობით და სხვა მაღალი თვისებით. პლუტარხობა, რასაკვირველია, იშვიათს პირს შეუძლიან. მაგრამ ეს მაინც და მაინც საჭირო არ არის, მეტადრე საბავშვო ჟურნალისათვის. აქ საჭიროა და სასარგებლო არა ხელოვნური აღწერა გმირების მთელი ცხოვრებისა და მოქმედებისა, არამედ ცალ-ცალკე ეპიზოდების მოთხრობა ცოცხლად და მარილიანად. რა საკვირველია, ეს ისტორიული პატარა მოთხრობები უნდა უმეტესად ამოღებულ იქმნან სამშობლო ისტორიიდან, თუმცა საზოგადო ისტორიიდანაც შეიძლება ზოგიერთა მეტად შესანიშნავი შემთხვევების ამორჩევა. აიღეთ, მაგალითად, ამილახვრების წინაპრის, აზნაურის ზედგინიძის თავდადებულობა მეფისა და ქვეყნისათვის, უამბეთ ბავშვებს ცოცხლად და

სურათულად და თქვენ მათს ნორჩს გულში ჩასახავთ ღრმასა და მეტად ნაყოფიერს ჩაბეჭდილებასა. ან რა საბავშვო საკითხავი შეედრება მოთხრობას თევდორე მღვდლის თავდადებულებაზედ, რომელმაც ყირიმის ხანის ჯარი, გამარჯვებული და დავლით დატვირთული, სხვა გზაზედ წაიყვანა რუსი სუსანიწასავით, იმ განზრახვით, რომ საქართველოს მეფესათვის მიეცა დრო მომზადებულიყო მტრის დასახვედრად. ამ გმირმა მოძღვარმა თავისი საყვარელი მამული დიდს უბედურობას გადაარჩინა, თუმცა თავისი თავი კი მსხვერპლად შესწირა, რადგანაც განრისხებულმა თათრებმა ეს თავდადებული მღვდელი ლუკმა-ლუკმა აკუწეს, როდესაც შეიტყეს, რომ იმას ესენი საქართველოში კი არა, ქვევით სომხეთისაკენ მიჰყავდა. ამ გვარი მაღალი ზნის მასწავლებელი ეპიზოდებით სავსეა ჩვენი ხანგრძლივი და მღელვარე ისტორიული წარსული. ზოგი თავგადადებით ებრძვის გარეგანს მტრებსა, ზოგი - შინაგანი მტრისაგან იფარავს და იხსნის ქვეყანასა, ზოგი ებრძვის სამშობლო ქვეყნის უმეცრეებსა, და სხვანი და სხვანი... ამოირჩიეთ უფრო თვალნათელი ფაქტები, დალაგებით უამბეთ ბავშვებსა, გადაუჭარბებლად, ურიტორიკოდ, საზოგადო ფრაზების მორიდებით და თქვენ მისცემთ მათ გონებასა და გულს საუკეთესო საზრდოსა. ჩვენ მართლა ისე ღარიბნი და ღატაკნი არა ვართ ნასწავლი პირებითა, რომ არ მოგვეპოვებოდნენ მცოდნენი ჩვენი წარსული ცხოვრებისა, რომელთაც არ შეეძლოთ გვარიანი საბავშვო მოთხრობების წერა ჩვენი ისტორიიდან.

ლექსი „ დედის რჩევა“, როგორც ზედ ეტყობა, ხამი კალმის ნაწარმოებია; ზოგიერთა სტრიქონები მდარეა, აზრიც ერთობ საზოგადოა და ცოტა გაცვეთილი. მაგრამ არც კილოა სრულიად დასაწუნი და არც საზოგადოდ ლექსი. ჩვენთვის სრულიად გასაოცარი არ იქნება, თუ ამ ლექსის ავტორმა პოეტური ნიჭი გამოიჩინა და შემდეგში გვარიანი საბავშვო ლექსები სწერა.

მოთხრობა „მტრედი“ ეკუთვნის ბ. მოჩხუბარიძესა და, მაშასადამე, ნიჭიერი კალმის ნაწარმოებია. ლამაზი პოეტური აღწერები ბლომად შეგხვდებათ მოთხრობაში, მოგეწონებათ სიმპატიური კილო, თანაგრძნობა ფრინველთადმი და ჭკმდარიტი სიამოვნებით წაიკითხავთ მოთხრობის ბოლოში ხელოვნურს გამოხატვას და აღწერას იმ მეგობრული ერთგულებისა, სიყვარულისა და გულდამწვარობისას, რომელსაც აღმოუჩინეს ერთი მტრედი მეორეს, თავის ტოლსა და მეგობარსა, მახეში გაბმულსა და დატყვევებულსა. მაგრამ ამ მოთხრობას, სამწუხაროდ, ნაკლულეევანებაც აქვს. მას აკლია შემუშავება, ენა ბრტყელია და არა ლაკონური, აქა-იქ უკანონოც: „ იმათი (ფრინველების) მოცადინება (?) მარტო ფრთხილით თავდებოდა“, „ცა ტყვის ფრად მოიქცა“, „ ბიჭი გაექანა მტრედს“ (ნაცვლად მტრედისკენ), „მტრედმა გადაცემის დროს გაიბრძოლა“ და სხვა. ზოგან მეტად გაგბელებულია მოთხრობა დაწვრილებითი, გაჭიანურებული აღწერებით. თუ მკითხველი მოიგონებს, რომ გრძელი აღწერა დიდებისათვისაც კი ძნელია ხშირად წასაკითხველად, რის გამოისად ამ გვარს აღწერას არა ერთი მკითხველი გადაახტება ხოლმე, - თუ გაიხსენებს, რომ ბავშვის მოძრავი ბუნება სრულიად ვერ მშვნეობს დიდს ხანს შეჩერებას გრძელის, გაჭიანურებული პლასტიკური სურათების კითხვასა და გაგებაზედ, იგი დაგვეთანხმება, რომ ამ გვარი აღწერა ნამდვილს ნაკლულეევანებას შეადგენს საბავშვო მოთხრობისათვის. საბავშვო მოთხრობაში პირველი ადგილი უნდა ეჭიროს მოქმედების დახატვას, დრამატიზმსა, და პლასტიკური აღწერა უნდა იყოს მოკლე და შეეხებოდეს მხოლოდ უმთავრესს საგნის ნაწილებსა. მოთხრობა, როგორც ზედ ეტყობა, ძალიან აჩქარებული, ხელდახელი ნაწარმოებია ავტორის კალმისა. ეს მით უფრო სანაწურია, რომ მას ნამდვილი ბელეტრისტული ნიჭი სრულს

შეძლებას აძლევს შემატოს ჩვენს საყმაწვილო ლიტერატურას არა ერთი მშვენიერი და თითქმის უნაკლულო მოთხრობა. მხოლოდ ამისათვის საჭიროა ავტორმა მუდამ სახეში იქონიოს, რომ საბავშვო მოთხრობების წერა მეტად ძნელია და მოითხოვს საფუძვლიან მოსაზრებას, გულისყურის დამყარებას კაი ხნობით და მუყაითს შრომას.

მიუცილებლად საჭიროა, რომ ჩვენმა ბელეტრისტებმა მაინც (თუ სხვებმა ვერა) წერაში მიჰბადონ არა მათ, რომელნიც დაიკვებებენ ხოლმე: - კალმის წვერს დავაფურთხე და სტატია გამოგაცხვეო, არამედ იმისთანა მაღალ-ნიჭიერს ავტორებს, როგორც იყო გოგოლი, რომელსაც კანონად ჰქონდა რვაჯერ გადაესწორებინა თავისი ყოველი ნაწერი, რვაჯერ თავისივე ხელით გადაეწერა და მხოლოდ მაშინ ეღირსებინა სტამბა, ან ემილ ზოლა, ახლანდელი უნიჭიერესი ბელეტრისტი საფრანგეთისა, რომელიც ისეთი გულდადებით და ყურადღების დამყარებით ეპყრობა თავის ნაწერებსა, რომ დღეში თურმე მხოლოდ სამს გვერდსა სწერს.

გეოგრაფიული განყოფილების შეტანა „ნობათში“ მეტად გონივრული და მოსაწონი აზრია. ელემენტარული აქსიომაა, რომ ბავშვი მხოლოდ მაშინ შეიყვარებს თავის სამშობლოს, როდესაც კარგად ექნება იგი გაცნობილი. ეს კარგად ესმოდათ ყველა ქვეყნების დაწინაურებულს პედაგოგებს და ამიტომაც იგინი სახალხო სკოლის ცენტრად სახავდნენ და ახლაც სახავენ სამშობლო ქვეყნის შესწავლასა.

ორი გეოგრაფიული წერილი ბ. ვაჩნაძეისა კანონიერი ქართული ენით მაღლა სდგას თითქმის ყველა თავის მეზობლებზედ: მაგრამ, სამწუხაროდ, ეს არის პირველი და უკანასკნელი მისი ღირსება, ავტორს, როგორც ეტყობა, ნაკლებად ესმის, თუ რა გვარი შინაარსია გამოსადეგი საბავშვო გეოგრაფიული წერილებისათვის, საიდგან უნდა მიუდგეს ამ საგანსა და რა ფორმაზედ ჩამოასხას. სინტეტიური, დედუქტიური მეთოდი, საზოგადო მიმოხილვა, საზოგადო ფრაზები ყოვლად გამოუსადეგარნი არიან აქა; აღწერითს ფორმასაც უნდა ერიდოს ყოველი დამწერი გეოგრაფიული წერილებისა, რადგანაც ეს ფორმა ძნელია და ნაკლებად ახალისებს ბავშვსა. ანალიტიური, ინდუქტიური მეთოდი, კონკრეტული, კერძო მოვლინებათა დახატვა ბავშვის თვალ-წინა, მოთხრობითი ფორმა, აი რა არის საჭირო ამ გვარი წერილებისათვის, სხვა განათლებულს ქვეყნებში ამჯობინებენ მოგზაურობის ფორმასა, რომელიც მარჯვე ღონისძიებას აძლევს მწერალს ანალიზი, კონკრეტული აღწერა მოთხრობის ფორმაზედ გადაზმული და შეხორცებული და დრამატიული ელემენტი (რომელიც ისეთი მიმზიდველია მეტადრე ბავშვებისათვის) ერთად შეაერთოს სამშობლოს გაცნობისათვის, გეოგრაფიული ფაქტორების ახსნისათვის.

ორივე წერილი ბ. ვაჩნაძეისა უხერხულს მეთოდით და ფორმით არის დაწერილი და ღარიზია შინაარსით. „სწორედ უნდა გითხრა“, სწერს იგი თავის მეგობარსა, - „კახეთისთანა მშვენიერი მხარე არა მგონია დედამიწის ზურგზედ კიდევ იყოს.“ თანახმად ამ შეხედულობისა იგი კახეთს უწოდებს „ქვეყნიურ სამოთხედ“. და რითი ამართლებს პატარა მკითხველის თვალში ამისთანა გაზვიადებულს ქებასა? არა ფაქტების წარმოდგენით, არა კონკრეტული სურათების დახატვით, არამედ იმისთანა საზოგადო, ფშუტა ფრაზებით: „ბუნება ამ მხარეში ფრიად მდიდარია, - რომ იტყვიან, - ღმერთს თავისი უხვი კალთა აქ დაუბერტყიაო, სწორედ კახეთია. რომელი მცენარე, რა გვარი ხე, რა ნაირი ფრინველი, როგორი მდებარეობა და რა ხასიათის სურათი გინდა ბუნებისა, „რომ კახეთში არ იყოს“. ეს კომპლიმენტური შექება პატარა მკითხველის გონებას არასფერს ხელმოსაჭიდს არ ეუბნება,

არც ერთს რეალურს წარმოდგენას არა ჰბადავს მასში და მხოლოდ ცარიელი და ამო სიტყვების ბრაზა-ბრუხია მისთვის, სიმშვენიერე ქვეყნისა დასკვნაა, რომელიც ბავშვმა თვითონ უნდა გამოიყვანოს რეალური, კონკრეტული სურათებისაგან და ეს სურათები მას თვალ-წინ უნდა დაუხატოს ავტორმა. მხოლოდ აქაც საჭიროა, როგორც სამშობლო ისტორიაში, რომ ავტორი ბევრს არ გამოუდგეს, არ მოინდომოს მთელი სამშობლოს შესწავლა თავისი წერილების შუამავლობით და მტკიცედ ადგეს ეპიზოდურს მეთოდსა. ჩვენ რომ ბ. ვაჩნაძიელისა ვყოფილიყავით კახეთის საზღვრებსა და საზოგადო მიმოხილვას კი არ გამოუუდგებოდით (ეს სახელმძღვანელოს საქმეა და მის მოვალეობას საბავშვო ჟურნალი ვერ იკისრებს), ავიღებდით მარტო თელავსა და ერთ წერილში ვცდებოდით ისე აგვეწერა იგი, რომ სრული წარმოდგენა გამოგვესახნა ბავშვის გონებაში; მეორე წერილში გავაცნობდით, ვსთქვამთ, ალაზანსა, მესამე წერილში კახურს რთველსა, მეოთხეში ალავერდობასა და სხვებსა, ერთი სიტყვით, პატარა მკითხველების ყურადღებას მივაქცევდით მასზედ, რაც უფრო შესანიშნავია კახეთში, რაც მის განსაკუთრებით თვისებას, ფიზიონომიას შეადგენს, რითიც იგი განირჩევა სხვა კუთხეებისაგან. ამასთან მოვერიდებოდით გაზვიადებულს ქებასა, ჯერ იმიტომ, რომ უკეთესი ღონისძიება კარგი აღზრდისათვის ჭეშმარიტებაა, სინამდვილეა, მეორე იმიტომ, რომ სიყალბეს ბავშვის ბუნება ადვილად გრძნობს და ადვილადაც შეუძლია შეიძულოს ის, რაც გინდა სიყალბით მას შეაყვარო და მესამედ იმიტომ, რომ ჩვენი სამშობლო ქვეყანა, ჩვენის ისტორიასავით, იმდენად მდიდარია ყოველ-გვარი საუკეთესო სურათებით და სანახაობით რომ ფერ-უმარალი მას სრულიად არ ეჭირვება. ფერ-უმარალს ისმენ მახინჯნი, გონჯი არსებანი და არა სიმშვენიერით სავსე ქალნი, რომელთათვის პირის საცხებელი დამამახინჯებელი და მავნებელია.

თუმცა ორივე გეოგრაფიული წერილი უხერხოდ არის დაწერილი, ჩვენ მაინც ვიმედოვნებთ, რომ შემდეგში ავტორი სწორე გზას დაადგება და უკეთესს წერილებს წარუდგენს თავის პატარა მკითხველსა. ჩვენ ასე ვფიქრობთ იმის გამო, რომ ამ წერილებშიაც კი ეტყობა ავტორს საზოგადო გახსწილობა და გონების განვითარება.

III

ლექსი „მარინე“ შეადგენს „ნობათის“ მეორე თვალს, მეორე მარგალიტსა. დიად, ღირსეულ ლეგენდას ხალხისას ღირსეული კალამი შეხვედრია და მშვენიერი ნაწარმოები შეუმატნია ჩვენი ლიტერატურისათვის, მკითხველი, რასაკვირველია, ამ ლექსს უკვე წაიკითხავდა, თუ თვით „ნობათში“ არა, „დროებაში“ მაინც, რომელშიაც გადმოხეჭილი იყო. ამიტომ შინაარსის გადმოცემა საჭიროდ არ მიგვაჩნია. მაღალი პოეტური კილო, ხელოვნურად დახატული, შეკუმშული სურათები, ისე ხელოვნურად, თითქო თვალ-წინ ხედავდე მათ, ღრმა დრამატიზმი და თავ-განწირული სიყვარული მამულისადმი შეადგენენ უმთავრესს ღირსებას ამ ლამაზი ქმნილებისას, რომელიც ბევრს, ძალიან ბევრს ეუბნება კაცის გონებასაც და გულსაც. ზოგი აკაკის ლექსად რაცხდა; მაგრამ რამდენიმე წვრილმანი ნაკლულევიანება და აქა-იქა წვრილმანი შეცდომანი ენაში გვარწმუნებენ, რომ იგი დიდს ოსტატს კი არ უნდა ეკუთვნოდეს, ნაწარმოები უნდა იყოს რომელიმე მისი ნიჭიერი მოწაფისა და მიმბამავისა. ერთი გარეგანი ნაკლულევიანება აქვს ამ ლექსსა: იგი საბავშვო არ არის და მისი დაბეჭდვა „ნობათში“ ცოტა უადგილო იყო. მაგრამ ამასთან უნდა გავტყდეთ, რომ ბ. ანდრიას ადგილას

სხვასაც ყველას სული წასძლევდა, უადგილობას იქით გადასდებდა და ამ ლექსით შეამკობდა საბავშვო ჟურნალის ნომერსა...

„ფინია გიშერას ცულლუტობა“, თუმცა შინაარსით ცოტა არ არის ღარიბია და მაგდენს ვერაფერს ეტყვის ვერც გონებასა და ვერც გულსა ბავშვისასა, მაგრამ იგი მაინც სიამოვნებით წაიკითხავს მას, რადგანაც ცოცხლად, მახვილად, გულისყურის დამყარებით არის დაწერილი და შემუშავებულს ნაწარმოებს წარმოადგენს.

სანაწურია მხოლოდ, რომ თარგმანი შიგა და შიგ კოჭლობს და მოთხრობის ჩაბეჭდილებას ასუსტებს. ბატონი ნესმელოვი, რომლის კალამს ეკუთვნის ეს მოთხრობა, სწორედ მაღლობის ღირსია ჩვენგან, რადგანაც დრო და შრომა არ დაუზოგნია ქართველი ბავშვებისათვის.

გაკვეთილი ზოოლოგიიდან ეკუთვნის პოლ ბერსა, გამოჩენილს ფრანცუზსა, გამბეტას გულის მეგობარსა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ღრმა სწავლულიც არის და მოწინავე სახელმწიფო პირიცა. იგი, სხვათა შორის, შემკულია ერთი იშვიათი ტალანტით, ნიჭით: თვით რთულს და ღრმა შინაარსს ისე ცხადად, ისე აშკარად, ისე ადვილად განახორციელებს სუმბუქს სიტყვებსა და ფრაზებში, რომ პატარა ბავშვსაც კი არ გაუძნელდება მისი გაგება და შეთვისება. პოლ ბერის ნაწერები მოგაგონებენ ღრმა მორევს, ანკარა წყლით სავსეს, რომელშიაც ქვიშა ცხადად სჩანს და რომელიც, მეტის-მეტი წყლის სიწმინდისაგან, თხელი გგონია, ნამდვილად კი ეს ბევრს მღრეე მორევს სჭარბობს სიღრმავითა, ამ საკვირველის სიცხადით და სიმარჯვით არის დაწერილი იმისი პოპულიარული ზოოლოგია, რომლის წაკითხვა და შეთვისება მეტად სასარგებლოა დიდისათვისაც და პატარასთვისაც. წაიკითხეთ პირველი გაკვეთილი და თქვენ დამეთანხმებით მასზე; რაც ვსთქვი პოლბერის ნიჭზედ. სწორედ მოსაწონია მადაროელის აზრი, რომელსაც განუზრახავს პოლ ბერის ზოოლოგიიდან გაკვეთილების თარგმნა. პირველი გაკვეთილი ადვილი და სუმბუქი ენით არის ნათარგმნი; მაგრამ ენის კანონიერება აქაც ყველგან არ არის დაცული. თვით პირველსავე ფრაზასაც შესწორება ეჭირვება.

„აი თქვენს თვალ-წინ სძევს ქვა, ქილაში ჩარგული ყვავილი და ჩიტი გალიაში.“ აქ ზმნა „სძევს“ ეკუთვნის სამსავე წინადადებას; მაგრამ არც ქილაში ჩარგულს ყვავილზედ და არც გალიაში მჯდარ ჩიტზე არ შეიძლება ითქვას სძევსო. ბ. მადაროელს შეუძლიან ენის სიმსუბუქესთან კანონიერებაც დაიცვას, თუ მომეტებულს ყურადღებას და სიფრთხილეს იხმარს პოლ ბერის მშვენიერი თხზულების თარგმნის დროსა. ეს თხზულება ფრანგულს და რუსულ ენაზედ შემკულია მრავალი სურათებითა. თუ „ნობათის“ რედაქცია თავის თარგმანსაც შეავსებს და გაამშვენიერებს სურათებით, დიდს სარგებლობას მოუტანს ჩვენს მოზარდობას, მით უმეტეს, რომ მაშინ ცალკე წიგნადაც გამოცემა სრულიად გაადვილდება.

ოთხ გამოცანაში, რომელიც დაბეჭდილია „ნობათში“, პირველს და მესამეს არა უშავს-რა, მეოთხე უხეიროა, და მეორე კი ისეთს უწმამურს კალამბურს წარმოადგენს, რომ ჩვენ გაკვირვებულნი ვართ, როგორ მიცა რედაქციამ მას ადგილი ჟურნალში. გამოცანები მეტად სასარგებლო და სასიამოვნო სავარჯიშო არის გონებისთვის და ამიტომ რედაქცია უთუოდ ეცდება, რომ ხშირ-ხშირად ბეჭდოს იგინი. მხოლოდ სიფრთხილე მართებს, რომ ბოლოკურად შედგენილი რომელიმე უვიცი და ცრუპენტელაპირისგან არ მიიღოს ხალხის ნაწარმოებად და არ მოაქციოს ჟურნალში. რებუსები დასაწუნი არ არის... საინტერესო ცნობები ყოვლას უინტერესონი არიან ბავშვებისთვის და ტყუილად უჭირავთ ადგილი

ჟურნალში.

ამით თავდება საბავშვო განყოფილება. ჩვენ იმედი გვქონდა, რომ ამ განყოფილებაში წავიკითხავდით ხალხურს ზღაპრებს და ლექსებს; მაგრამ ჯერედ იმედი არ აგვისრულდა. სასურველია, რომ სასოფლო სკოლების მასწავლებლებმა არ დაიშურონ ყურადღება და გარჯა, აგროვონ ხსენებული ნაწარმოებნი ხალხის გონებისა, მეტადრე ზღაპრები, რომელნიც აქამდის ძალიან ნაკლებად გვაქვს გაცნობილნი, და უგზავნონ რედაქციას დასაბეჭდად.

მეორე განყოფილებაში, ანუ დამატებაში, მოქცეულია მიმართვა თვითონ რედაქციისა მკითხველისადმი, სამაგალითო გაკვეთილი განმარტებითი კითხვისა და მოკლე ნეკროლოგი ბარონ კორვისა. პირველზედა და მეორეზედა ჩვენ არაფერს ვიტყვით, იმის გარდა, რომ მათზე უარესიც ადვილად დაიწერებოდა და უკეთესიცა. განმარტებითი კითხვის გაკვეთილზედა კი ცოტაოდენი მხნობით შევაჩერებთ მკითხველის ყურადღებასა.

სამაგალითო გაკვეთილების ბეჭდვა ჟურნალში მეტად მოსაწონი აზრია და არა ერთს სახალხო მასწავლებელს დააყენებს გონიერს გზაზედა საგნების სწავლებაში, თუ ეს გაკვეთილები სრულიად თუ არა, ნახევრობით მაინც მართლა და სამაგალითონი იქნებიან. მაგრამ ეს არ შეიძლება ითქვას პირველს სამაგალითო გაკვეთილზედა, რომელისაც საგნად აქვს განმარტებითი კითხვა. ბ.ლილიპუტს, რომელსაც ეკუთვნის ეს გაკვეთილი, საქმის სათაურშივე მოსვლია ისეთი მსხვილი შეცდომა, რომელსაც ამაოდ უნდა ჩაეტარებინა ყოველი მისი პედაგოგიური ღონისძიება და ხერხი. განსამარტებლად მას ამოურჩევია ყოვლად უნიჭო, სრულიად უხეირო ლექსი, ნაცვლად რომელისამე კლასიკური ლექსისა, რომლითაც ჩვენი ლიტერატურა მდიდარია. აი ერთი მუხლი ამ ყოვლად შეუძლებელი ლექსისა:

ოთხფეხა ყველა გამაგრდა წელში,
შინაური, თუ გარეულიო,
რქიანი, ურქო-ჭალა და ველში
ერთმანეთშია არეულიო.

თვით დიდი პედაგოგის პესტალოცისათვის რომ შეგეკვეთნათ ამ ლექსის განმარტება, ისიც კი ვერას გააწყობდა. განმარტება შეიძლება მისი, რაშაც გონიერი აზრია გამოთქმული, ნამდვილი სურათია დახატული; მაგრამ რა გზით შეიძლება ახსნათ, განმარტოთ ნაწერი, რომელშიაც არც აზრი მოიპოვება და არც სურათი. მაგრამ პირველი ცომის კუტად ქცევა ყოველთვის როდი ნიშნავს გამომცხობის უხეირობასა. ამიტომ ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შემდეგი სანიმუშო გაკვეთილები სამაგალითოს დაემზგავსებიან.

ჟურნალს ბოლოში დამატებული აქვს სიმღერა, გადაღებული ნოტებზედა. მშვენიერი აზრია და თუ რედაქციამ, ხან-და-ხან შეაქო თავისი გამოცემა ამგვარი დამატებითა, სიმღერის და გალობის წარმატებას ჩვენ სკოლებში ძლიერ დაეხმარება.

საბავშვო ჟურნალში გარეგანს სახეს, შეხედულებას ცოტა მნიშვნელობა არა აქვს და ამიტომ ორიოდ სტიყვას ვიტყვით „ნობათის“ გარეგნობაზედა. ამ მხრივ ბატ. ანდრიას გამოცემა ფრიად მოსაწონია. სათაურის ფურცელი ლამაზია და ხელოვნურად შემკული სურათებით, ქალაქია ძალიან კარგი, შრიფტი გარკვეული, ტექსტს შემოვლებული აქვს გარშემო ორკეცი არშია, საჭირო სურათები არა ერთს ადგილას არის ჩართული, და ზოგიერთ წერილებს

დასაწყისში ამშვენებენ ახლად შემოღებული დიდი მთვარული ასოები. ამასთან წლიური ფასი მეტად მცირეა. გამოცემა, რომელიც სივრცით თითქმის უდრის ჟურნალს "ივერიას", ღირს ოთხმანეთად, როგორც გარეგნობას, ისე ჟურნალის ადმინისტრაციას წუნს ვერავინ დასდებს. ყველაფრიდგან სჩანს, რომ ბატ. ლულაძე იქნება მუყაითი და მარჯვე ადმინისტრატორი. თუ რაიმე ღონისძიებით რედაქციულს მხარესაც ამ სიმალღეზედ დააყენებენ, ჟურნალი მტკიცედ მოიკიდებს ფეხს ჩვენს ნიადაგზედ, თან-და-თან უფრო გზას გაიკვლევს, გავრცელდება და ბევრს სიკეთეს დასთესავს სკოლასა და საზოგადოებაში.

გავათავეთ პირველი ჩვენი საუბარი. სიტყვა ცოტა გრძელი მოგვივიდა; მაგრამ ამისთანა ახალ ნაბიჯზედ სასიამოვნო მოვლენაზედ, როგორც არის საბავშვო ჟურნალის პირველად გაჩენა ქართულ ენაზე, მოკლე სიტყვა არ გამოდგებოდა. ჩვენ ვცდილობდით ვრცლად, დაწვრილებით გამოგვეთქვა სამართლიანი მსჯელობა, ღირსებანი კაშკაშად გაგვეშუქებინა, საქები ხმა მაღლა გვექო და ამასთან არ დაგვემაღა ნაკლულევალება, რაც არც საკადრისი იყო და არც სასარგებლო უპირველესად ყოვლისა თვითონ ჟურნალისთვის. არას დროს არ უნდა დავივიწყოთ, რომ ყოველივე შეცდომა საბავშვო გამოცემაში ერთი ხუთად და ათად მავნებელია, ვიდრე დიდებისთვის დანიშნულ წიგნში. დიდს აზროვნობა, მსჯელობა გახსნილი აქვს, კარგი და ავი გაეგება და კარგს ნაწერს ითვისებს, ცუდს უარს ჰყოფს. პატარა მოკლებულია ჯერედ რაიმე კრიტიკულს შეხედულებას და თითქმის ერთნაირად ითვისებს კარგსაცა და ავსაცა. ამიტომაც თვითონ ნაკლები ნიჭის ბავშვი ჰკვიანი, გონიერი და სასარგებლო კაცი გამოდის, თუ მას აძლევენ მხოლოდ სალსა, ნოყიერს საჭმელს გონებისასა. მაგრამ თუ თქვენ ბავშვს ხშირად აჩეჩებთ ხელში იმისთანა უვიცი კალმის ნაწარმოებს, როგორც არის ლეგენდა თემურიშვილზედ, თქვენ მას გონებას უთუოდ დაუსუსტებთ და დაუმახინჯებთ სწორედ ისე, როგორც სწეულება კუჭის, რომელიც იძულებელია ხარშოს საჭმელი, ყოველ სინოყიერეს მოკლებული. აი რისთვის ფრიად საღიროა, რომ „ნობათი“ კვლავ ერიდოს ყოველს უნიჭო და განუვითარებელ წერილებსა და მისცეს ადგილი მხოლოდ იმისთანა ნაწარმოებს, როგორც არიან: „მიწვევა სასწავლებელში“, „მოგონება“, „კაკანათი“, „მტრედი“, „მარინე“, „ფინია გიშერას ცუდლუტობა“ და პოლ ბერის გაკვეთილი ზოოლოგიიდან.

წერილი მეორე

"ნობათის" იანვრის ნომერში მკითხველის ყურადღებას პირველად მიიქცევს თავისკენ ახალი ყდა, რომელიც მთლად დაჭერილია რთული, მდიდარი და ხელოვნურად გაკეთებული სურათითა. იგი წარმოადგენს იმ დიდებულს ხეობას მცინვარის მთის ახლო, რომელზედაც მიმდინარეობს შფოთიანი თერგი. ამ სურათის გასინჯვით ყმაწვილი შეიძენს არა ერთს ცნობას, არა ერთი ჩაბეჭდილებით გამდიდრდება მისი გონება. მართალია, სურათში სრულად არ არის დაცული ქართული სინამდვილე და ბეჭედიც მეტად მკრთალია, რის გამოც ბავშვს გაუძნელდება გარკვევა სურათის ნაწილებისა, მაგრამ რედაქციას მაინც ვერ ვუსაყვედურებთ, რადგანაც ყველამ ვიცით, რომ თვითონ რომაელებმაც თავიანთი დიდებული რომი ერთს დღეს როდი დაამთავრეს.

საბავშვო განყოფილებას ჟურნალისას ორი რიგი ნაწერი შეადგენს: ლექსები და მოთხრობები. ვისაუბროთ ჯერ პირველს რიგზედ.

ლექსებში, უწინდებურად, დათმობილი აქვთ პირველი ადგილი თ. რაფიელ ერისთავის ლექსსა: „ჯერ შრომა, მერე ხტომა“. ეს ლექსი ერთხელ კიდევ ცხადად ჰყოფს ერთი ანდაზის სიმართლეს: „ერთი ალილუია“ თვით ფრიად გავარჯიშებულს მჭვდელსაც შესცდებო. ეს ლექსი რუსულს ენაზედ საუკეთესო საბავშვო ლექსთაგანია. ქართულად - კი ჩვენს პატივისცემულს პოეტს გადმოუღია ისე სუსტად, რომ მკითხველი მის დამწერად ჩასთვლიდა რომელსამე ხამს კალამს, ჟურნალის ყდა რომ არ ააშკარავებდეს ნამდვილს მის ავტორსა. კილო ლექსისა არის მეტად დაბალი, სტრიქონები მეტად მოკალოებულია. ძლიერ აკლია სიცოცხლე, ღარიბია მეტად რითმითა, სურათების ნაწილიც მოკლედ არის შეკვეცილი და მალ-მალ იმეორება გრძელი მიძახილი (припев).

ყველა ამ ნაკლულევანებას კაცი კიდევ როგორმე შეურიგდებოდა, რომ აზრი მაინც მკვირცხლად და მკაფიოდ იყოს გადმოცემული; მაგრამ, საუბედუროდ, ამ მხრითაც დიდი შეუსაბამობა არსებობს. რუსულ დედანში ბავშვი, ოთახში მოკალათებული, მეცადინეობს. გაკვეთილს სწავლობს ერთგულად თავის თავად, სწავლით გატაცებული, მას არც მამის შიში აქვს და არც ოსტატი მისჯდომია გვერდით. ჩვენს პოეტს - კი მამაც სცენაზედ ჰყავს წამოყენებული და ოსტატიცა. რაღა შუაშია აქ ბავშვის თვით- მოქმედებითი ძალა? ბავშვის ერთგულება სწავლისა ჰხდება შედეგად გარეგანი ორ-გვარი ძალ-დატანებისა და ჰკარგავს ბავშვების თვალში კარგი მაგალითის მიმზიდველობასა. ოსტატის უადგილო ჩაკერება სხვა სხვაფრივაც აფუჭებს საქმესა. ბავშვს გვერდით მასწავლებელი უზის და ის -კი ამ დროს ეკამათება სხვა და-სხვა საგნებსა და სულდგმულებსა. მომღერალი ჩიტი გარეთ იწვევს ბავშვს, გამოდი , დასტკბი ჩემი გალობითაო. ბავშვი-კი აი რა პასუხს აძლევს: „შენ თუ მორჩი მღერასა, მაშ მეც მოვრჩე წერასა“. ეს თითქმის იმასა ჰგავს, სადილზე ვინმე გაპატიჟობდეს და შენ-კი ეუბნებოდე: შენ რომ გამამღარხარ, მაცალე, მეც გავმღეო. ეს შეუსაბამობა პოეტს მოსვლია რითმის გულისთვის; მაგრამ აზრის დამახინჯება კეთილხმოვანებისათვის ყოველთვის მავნებელია, მეტადრე საბავშვო ნაწერებში. საკვირველია, რომ თუმცა ბევრგან რითმისათვის მსხვერპლად შეუწირავს აზრი ჩვენს პოეტს, მაგრამ კეთილხმოვანების დამყარება მაინც ვერ მოუხერხებია. ყველაფრიდგან სჩანს, რომ ავტორი პოეტურს მდგომარეობაში არა ყოფილა ამ ლექსის წერის დროს, ძალა დაუტანებია კალმისათვის და ლექსი კუტად ჰქცევია. მიუცილებლად საჭიროა, რომ ეს მშვენიერი ლექსი ხელმეორედ გადმოიღოს რუსულიდგან ან თვით თ. რაფ. ერისთავმა და ან რომელმამე ჩვენმა დიდმა პოეტმა.

სამაგიეროდ აკაკის პატარა ლექსი „ყმაწვილი და პეპელა“ შემკულია ყოველი ღირსებით, რომელიც-კი მოეთხოვება საუკეთესო საბავშვო ლექსსა. თავდაპირველად უნდა შევნიშნოთ, რომ „ნობათის“ თანამშრომლებს ჯერ-ჯერობით ვერ ჩაუფდიათ თავიანთ ნაწერები შესამ კალაპოტში და ხშირად ძალიან მაღალ კილოზედ საუბრობენ, რომელსაც ბავშვი ძნელად შესწვდება. აკაკის ლექსი კი სწორედ ზედ გამოჭრილია საბავშვო ჟურნალის დანიშნულებაზედ. იგი ადვილი, ფრიად ადვილი შესათვისებელია ბავშვებისთვის როგორც შინაარსით, ისე ფორმით. იგი ხატავს სურათს, რომელიც ერთსა და იმავე დროს საზრდოს აძლევს გონებასაც (აცნობებს პეპელას ცხოვრებას)და გულსაც, რომელშიაც ჰბადავს სიბრალულსა. მეტადრე შეუდარებელია თავი და ბოლო ამ ლექსისა. აკაკის ეს ლექსი საუკეთესო საბავშვო ნაწარმოებს შეადგენს და ნამდვილი მარგალიტია იანვრის ნომრისა.

ლექსი "ზაალი" ბ. ცახელისა იმავე ნიჭით არის დაწერილი, რომელიც ავტორმა გამოიჩინა წინანდელს თავის ლექსში „მარინე“, მაგრამ ეს მეორე ლექსი ისეთს ძლიერ ჩაბეჭდილებას

ვერ სახავს მკითხველის გონებაში, როგორც პირველი. ეს ჰხდება შემდეგი მიზეზის გამო: ეს მეორე ლეგენდა და ლექსი თავისი უმთავრესი ნაწილებით ძლიერ წააგავს პირველსა და წარმოგვიდგენს იმავე საჭმელს, მხოლოდ სხვა გვარი წვენით შეზავებულს. გარნა ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რომ ერთი და იგივე საჭმელი, რაც არ უნდა გემრიელად და ოსტატურად იყოს მომზადებული, თუ ზედი-ზედ მიაყოლეთ, გემოსა ჰკარგავს თქვენს პირში და ბევრით ნაკლებ სიამოვნებას გაგრძნობინებთ. სურათიც ისეთი შეკუმშული არ არის, როგორც იყო წინედ, და ლექსი ცოტა გაგრძელებული, გაჭიანურებულია. ბრძოლას აქ სხვა ხასიათი აქვს, რადგანაც მიქცეულია არა გარეგანი მტრის წინააღმდეგ, არამედ მეზობლების დამარცხება და შემუსვრა აქვს აზრად. ენა წინანდელს ლექსშიაც კოჭლობდა და აქაც კოჭლობს. გარდა ამისა, ერთს ალაგს, სახელდობ იქა, სადაც ავტორი მოგვითხრობს ზაალის დაკარგვასა ბრძოლის შემდეგ, სურათის ნაწილები რიგზე ვერ არიან დალაგებულნი, აზრები არეულ-დარეულია და მათი გაგება არამც თუ ბავშვისათვის, დიდებისთვისაც ძნელია. მაგრამ, მიუხედავად ყველა ამ ნაკლულოვანებისა, ლექსი წარმოადგენს პოეტურს ქმნილებას, რომელიც სწორედ რომ მშვენიერი შემატებაა ჩვენი ლიტერატურისთვის. მეტადრე ჩინებულს ჩაბეჭდილებას სახავს დიდისა და პატარა მკითხველის გულში სახე მოსიყვარულე დისა. ვისურვებთ, რომ ავტორს ენის კანონიერებისა და სისწორისთვის მიექციოს ჯეროვანი ყურადღება და ბევრი სხვა ხალხური ლეგენდა გაელექსოს, რაშიც იგი იჩენს მართლა შესამჩნევ ნიჭსა. მხოლოდ „ნობათს“ მან უნდა შეურჩიოს უფრო საბავშვო ლეგენდები და არა იმისთანა, სადაც სისხლის ღვრას და კაცის მკვლელობას უმთავრესი ადგილი უჭირავს.

ზღაპარი "ლომ-კაცი" იანვრის წიგნშიაც გათავებული არ არის, დაბეჭდილია მხოლოდ ერთი მეექვსე თავი. ამ თავითგან სჩანს, რომ ეს თხზულება უბრალო ზღაპარი არ არის, სახეში აქვს მაღალი, ძალიან მაღალი საგნები და მოგაგონებს ლაბულეს არაკებსა, იმ განსხვავებით, რომ ბ. გიორგი წერეთელს ბევრად უფრო ფანტასტიკური ტანისასმოსი ჩაუცმევია თავის ზღაპრისათვის, ვიდრე ლაბულესა. ეს გარემოება ნაკლულოვანებადაც რომ ჩავთვალოთ, ავტორს მაინც ვერ დავემდურებით, რადგანაც იქნება მასაც ძალიან გულით სურდა ცოდვილს დედა-მიწას დიდ მანძილზედ არ დაშორებოდა; მაგრამ იძულებული კი გახდა ზღაპრულს ცაში დაეწყო ფრენა. ჩვენ ამ ჟამად ამაზე მეტს არაფერს ვიტყვით, რადგანაც ზღაპრის გათავების შემდეგ ვისაუბრებთ ვრცლად.

ოთხი გამოცანა, შედგენილი და გალექსილი აკაკისგან, ჩინებულია როგორც შინაარსით, ისე ენით. მეტადრე მოსაწონია მეორე და მეოთხე. იშვიათი გონების სიმახვილე და მშვენიერი ცოდნა ხალხური ენისა შეძლებას აძლევენ აკაკის გაამდიდროს ჩვენი ლიტერატურა მშვენივრად შედგენილი გამოცანებით.

ბ. რევიშვილის ორმა მოთხრობამ „მოზა“ და „ახალ წელიწადი“ ცოტა არ არის ცივი წყალი გადაასხა მკითხველებსა. ორივე მოთხრობა ბევრით დაბლა სდგას წინანდელს მოთხრობებზედ. თუ „მოგონება“ და „კაკანათი“ წარმოგვიდგენენ შეკუმშულ სურათებს, ხელოვნურად დახატულს, სამაგიეროდ „მოზა“ და „ახალ წელიწადი“ არიან უბრალო ამბები, მკრთალად დაწერილნი. პირველი მოთხრობა კიდევ შეიძლება ჩასთვალოთ გვარიან ნაწერად; მაგრამ მეორე კი ძლიერ მდარეა და რაც უნდა ხათრი-ჯამიანი დამფასებელი იყო, კარგს ვერას იტყვი. რად დაუშვა კილო ასე ძირს ახალგაზრდა ავტორმა? ნუთუ მართლნი არიან ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ პირველი მოთხრობის ღირსება ბრმა შემთხვევას უნდა მიეწეროსო? ჩვენ ეს არა გვგონია და დარწმუნებულნიცა ვართ, რომ ავტორს ბელეტრისტული ნიჭი აქვს, - მაგრამ იმ გვარი ფოტოგრაფიული ნიჭი, რომელსაც იჩენენ

გამოჩენილი მერომანეს ზოლას მიმბამავნი. სიმდარე ახალი მოთხრობებისა აიხსნება ერთი დიდი შეცდომით. ავტორს აუღია რთული საგანი სურათებისათვის და ისე კი მოპყრობია, თითქო ძალიან მარტივი თემა აერჩიოს. შობის და ახალი წლის დღესასწაული რთული საგანია, რომელსაც აქვს მრავალი მხარე, და თითოეული ეს მხარე ცალკე სურათის საგნად შეიძლება გახადოს მწერალმა. ავტორს უნდა აელო ან ცალკე მომენტები ამ დღესასწაულისა და დაწვრილებითი სურათი დაეხატნა, და ან უნდა ერთი სამად და ოთხად მომეტებულად გაეფურჩქნა თავისი მოთხრობა. მაგრამ მან არც ერთი ჰქმნა და მეორე და ამის შედეგი არის ისა, რომ დღესასწაულის მომენტები დახატულნი კი არ არიან ჯეროვანის სინამდვილით და დაწვრილებით, არამედ მკრთალი ჩამოთვლილნი. ერთი უმთავრესი ნაკლულევანება ამ მოთხრობისა ისიც არის, რომ მომქმედი ბავშვები ეგოისტები არიან, რომელნიც იმასა ცდილობენ, რომ ამხანაგს უთავაზონ ან დაობებული ჩურჩხელა, ან უფრო უხეირო კანფეტი და ან ნახევარი წილის მაგივრად მესამედი მისცენ. ბავშვებში, თავის-თავის მოყვარეობის გარდა, ჰუმანიური მხარე, კაცს-მოყვარეობაც ძლიერია, და ყოველმა საბავშვო მწერალმა უნდა აძლიოს შემთხვევა ბავშვებს აღმოაჩინონ ეს საუკეთესო მხარე თავიანთი ბუნებისა და დაბადონ პატარა მკითხველებში სურვილი მიბამვისა; თორემ შეიძლება ჩვენი მოთხრობები ეგოიზმის ქადაგებად გახდნენ და სარგებლობის მაგივრად ვნება შეძღვნან ჩვენს მოზარდს თაობასა.

„საახალწლო ფეშქაში“ ეკუთვნის ქალ. ეკ. გაბაშვილის კალამსა. მოთხრობაში მოიპოვება არა ერთი ღირსება, რომელიც ძვირფასს ნაწარმოებად ჰხდის ავტორის ნაწერსა, მსუბუქი კილო, ცოცხალი მიმდინარეობა აზრებისა და მშვენიერი ქართული ენა შეადგენს უმთავრესს ღირსებას „საახალწლო ფეშქაშისასაც“. უკანასკნელი ღირსება მეტადრე ფრიად შესანიშნავია. პატივცემული ავტორი, ჩვენი საუკეთესო მწერლებისავით, ყოველთვის ფიქრობს ქართულს ენაზედ და ამიტომ მისი სამწერლო ენა წმინდა ქართულია, როგორც ლექსიკონით, ისე სიტყვების დაკავშირებით, შეთანხმებით და კონსტრუქციით. თითქმის ვერ შეხვდებით ვერც ამ მოთხრობაში და ვერც სხვაში იმისთანა გამოხატულებასა, რომელსაც რუსულიდგან თარგმის კვალი ეტყობოდეს, მაშინ, როდესაც თვით უნიჭიერესი ჩვენი ლიტერატორები (მაგ: ყაზბეგი) ყოველთვის ვერ იშორებენ თავიდან რასიცოზიმებსა და ამითა აშკარად ამხილებენ იმ სამწუხარო ფაქტსა, რომ ისინი ხშირად ჯერ რუსულად ფიქრობენ და შემდეგ ქართულად სთარგმნიან თავიანთ აზრებსა. შინაარსის მხრივ მოთხრობა წარმოადგენს არა მთელს სურათს ახალი წლის დღესასწაულისას შემძლებელს ოჯახში, არამედ რიგზედ დაწყობილ ბავშვის ზოგიერთა ჩაბეჭდილებასა, ახალი წლის წინა ღამის განმავლობაში მიღებულსა. ავტორი რომ დასჯერებოდა მხოლოდ ჩვეულებრივ ჩაბეჭდილებათა, რომელნიც ყოველ წლივ ერთს რიგზედ და ერთ ნაირად განმეორდებიან, მისი მოთხრობა უფერული იქნებოდა; მაგრამ ავტორის ნიჭს კარგად უგვრძნია ესა და ისეთი შემთხვევა მოუქცევია შიგ, რომელიც ზნეობრივს ნათელსა ქვენს მთელს სურათსა, აღვიძებს და იწვევს ჰუმანიერს მხარეს კაცის ბუნებისას, იმ მხარეს, რომლის ხშირად შეხვედრა და ცქერა მეტად სასარგებლოა ბავშვებისათვის. ეს შემთხვევა რომ იყოს ფანტასტიკური, შეუძლებელი, ძალად მოგონილი, მაშინ მოთხრობა იქნებოდა მსგავსი ესრედ წოდებული ზნის მასწავლებელ მოთხრობებისა, რომლებითაც ილაჯი წაართვეს ევროპიელს ბავშვებსა გოფმანმა და მისმა მსგავსმა მწერლებმა: მაგრამ საქმეც ის არის, რომ იმ გვარი შემთხვევა, რომელიც ავტორს მოუყვანია, იშვიათი არ არის ჩვენის ხალხის ცხოვრებაში და იგი მოხდება ხოლმე როგორც სხვა დღეს, ისე ახალ წელიწადსაც.

„საბრალო ჩიტი“, მოთხრობა ბ. ლილიპუტისა, იმდენად სუსტია, რომ კრიტიკა რაც უნდა ძირს დაიხაროს, ვერ დასწვდება მას. ყოფაქცევა, მოქმედება, ლაპარაკი და მსჯელობა, მოთხრობაში გამოყვანილი ბავშვებისა ყოვლად უცნაურია და სინამდვილესთან არავითარი კავშირი არ აქვს. სამწუხაროა, რომ იმისთანა პატარძალივით თავდაბალს ავტორს, როგორც არის ბ. ლილიპუტი, ეს მეორე გუნდაც კუტად ექცა. მაგრამ ეს ძლიერ არც უნდა გაუკვირდეს მას და არც უნუგემო მოვლენად ჩასთვალოს. ორჯერად მარცხი არამც თუ იმისთანა ქონდრის კაცებს მოუვიდოდათ ხოლმე, როგორცა ვართ ჩვენ ორივენი, თვით კაცობრიობის გულივერებსაც კი ხშირად ემართებოდათ. დემოსთენს ორი პირველი ორატორული სიტყვა ისეთ უგემო კუტად ექცა, რომ ათენელებმა კათედრიდან სტვენით და კიჟინით ჩამოაგდეს, ჩვენ მაგისთანა უნიჭო ლექსათვის ყურები არ გვასხიაო. მაგრამ, როცა მხნე ჟინიანმა დემოსთენმა გამოიკვლია მიზეზები დამარცხებისა და ერთგულად შეუდგა თავის განვითარებას და გაუმჯობესობას, მესამედ წარმოსთქვა იმისთანა მაღალ ნიჭირი სიტყვა, რომ მთელი ათინის საზოგადოება უმაღლეს ალტაცებამდინ აიყვანა. მსგავსივე ამბავი დაემართა ჩვენივე დროის გამოჩენილს ტრიბუნსა - გამბეტასა. ვაშინგტონიც თავდაპირველად ორჯერ საშინლად დაამარცხეს ინგლისელებმა: მაგრამ მესამედ კი, ამ დამარცხებით ჭკუა ნასწავლმა, სულ კუდით ქვა ასროლინა თავის მტრებსა. ეს იგავები იმას გვასწავლის, რომ ბ. ლილიპუტისაგან მესამედ გამარჯვებას უნდა მოველოდეთ; მაგრამ თუ მესამედაც კოჭმა უმტყუნა და თოხანი დაუჯდა, საქმე საეჭვო შეიქმნება, თუმცა უიმედობას არც მაშინ ექმნება შეურყეველი საფუძველი.

ბ. ძამსაშვილი მეტად ჭირვეული ავტორი ყოფილა. არავისი არა შეისმინა-რა და ისევ თავისებურად გაიძახის იანვრის ნომერშიაც. ჯერ მეათედი თავის საზოგადო ფრაზებისა არ დაეხარჯნა კახეთის შესახებ და უცებ, მოულოდნელად ისკუპა აღმოსავლეთიდან და დასავლეთში, იმერეთში, ამოჰყო თავი, სადაც თავის უწინდელს ხელობას შეუდგა, ესე იგი საზღვრების ზომასა და მიჯვნასა. თუ შემდეგშიაც ავტორმა არ მოსძებნა სწორე გზა და ასე ჭაობ-ჭაობ იხეტიალა, ჩვენ იძულებულნი ვიქნებით უკანვე წამოვიღოთ განვითარებული პირის ეპიტეტი, რომელიც წინად მის შესახებ იყო ნახმარი ჩვენ მიერ.

„ფიქრი არწივისა“, რომელიც ეკუთვნის პროფესორი ბალდანოვის კალამსა, მშვენიერი საყმაწვილო მოთხრობაა, იმ გვარი მოთხრობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს ბევრს რასმე ეუბნება წარმოდგენასაც, გონებასაც და გულსაცა. სანაშურია მხოლოდ, რომ თარგმანის ენა არა სდგას იმ სიმაღლეზედ, რა სიმაღლემდინაც აუყვანია ავტორს შინაარსი მოთხრობისა, და შიგა და შიგ ძლიერ კოჭლობს. მთარგმნელი, მაგალითად, სწერს: გლეხი „აცოცდა ზედ (ხეზედ), ამოჰკრიფა იქიდან (საიდგან?) ბარტყები და გადმოეშვა ძირსა. ჩამოვიდა ძირს და მოჰკრიფა ისინი სახლში წასაყვანად. დაინახა თავისი გასაჭირი დედა- არწივმა, ერთბაშად თავს დაეცა ქურდსა და მისცა სრული თავისუფლება თავის კლანჭებსა"... უფრო მომეტებული ენის ცოდნა რომ ეხმარა ქალ. ნინოს, იგი ამ ადგილს ასე გადასთარგმნიდა: გლეხი „აცოცდა ზედ, ამოსხა ბუდიდან ბარტყები და ჩაუშვა დედა-მიწაზედ. ჩავიდა ძირს და აიყვანა ისინი სახლში წასასხმელად, დედა-არწივმა რომ დაინახა თავისი გასაჭირი, ერთბაშად თავს დაეცა ქურდსა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, რჯიდა თავის კლანჭებსა“. იმავე გვერდის შუატირადა ამაზე კიდევ უარესად არის გადათარგმნილი. შემდეგს გვერდზე შეხვდებით ამ გვარს გამოთქმას: „ვერ მოასწრო მელამ არწივის შენიშვნა, როგორც ჩაუვარდა მას კლანჭებში". საჭიროა, მეტად საჭიროა, რომ „ნობათის“ თანამშრომლებმა და თვით რედაქციამაც სასტიკი ყურადღება მიაქციონ ენის კანონიერებასა.

„არწივის ფიქრი“ კიდევ ერთხელ გვიმტკიცებს იმ აზრსა, თუ რავდენად სასარგებლოა თარგმნა დაწინაურებული ხალხების საუკეთესო გონებითი ნაწარმოებისა, და რავდენს სიკეთეს შევძლენით ჩვენ დიდებსაც და პატარებსაც მათი გადმოღებით ქართულს ენაზედ. სამწუხაროდ, ჩვენში აქამდის თარგმანებრივს ლიტერატურას ისე აზუჲად იჭერენ და ისე ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, რომ ორს-სამს მარჯვე მთარგმნელს ვერ დაგვისახელებთ მთელს ქართველს განათლებულს დასში. ცოდნით, განვითარებით მეტად ლატაკნი ვართ; მაგრამ სხვის გონებითს სიმდიდრეს მაინც ნაკლებად ვეტანებით, ჩვენი საკუთარი თხზულება, საკუთარი გოგრიდან გამოწურული ბევრად უფრო მოგვწონს, და ამისი შედეგი არის ისა, რომ ჩვენი ლიტერატურა ივსება წყალ-წყალა, ბავშვური ნაჯღაბნებითა და ევროპიელი ტალანტების და მეცნიერების ნაწარმოები კი ჩვენი საზოგადოებისათვის არ არსებობენ. გლახა-ამპარტავნობა რომ გაგიგონიათ, სწორედ ეს არის.

რეზუსი, ბ. რევიშვილისაგან შედგენილი, საუკეთესო რეზუსებში უნდა ჩაითვალოს, რადგანაც გონების ვარჯიშობის გარდა, იგი ნამდვილს ცნობასაც შესძენს ყმაწვილსა.

პედაგოგიური ნაწილი იანვრის წიგნისა უფრო უკეთესად არის შედგენილი, ვიდრე სანიმუშო ნომრისა. პირველი ადგილი დათმობილი აქვს ბ. წყალტუბელის წერილსა ადამიანის აღზრდაზედ. ჯერ-ჯერობით მხოლოდ შესავალია დაბეჭდილი, რომელსაც მხოლოდ ერთი ფურცელი უჭირავს და საკრიტიკო იქ არაფერია; მაგრამ თვითონ ბ. წყალტუბელის თანამშრომელობა კი დიდად სასარგებლო იქნება ჟურნალისათვის, რადგანაც იგი განვითარებული პირია, როგორც საზოგადოდ სწავლაში, აგრეთვე კერძოდ პედაგოგიაში და ჩვენს ლიტერატურაში.

პატარავე წერილი, „სამშობლო ენა“ მაღაროელისა, ორს სად აზრს იპყრობს: ერთი ის არის, რომ დედა-ენა უნდა იყოს ცენტრი სახალხო სკოლის კურსისა, და მეორე ის, რომ მასწავლებელი უნდა იყოს შეგნებული აღმსრულებელი (сознательный исполнитель) პლანისა და პროგრამისა. ახლა აზრები არ არის, მაგრამ მათი გამეორება, მეტადრე ჩვენს მდგომარეობაში, მომეტებული არასდროს იქნება და მასწავლებლების სიფხიზლეს დაეხმარება, მეტადრე როდესაც ამ გვარი მარჯვე ილიიუსტრაციით იკვლევენ გზას სადს აზრსა: „ხომ მოგეხსენებათ, რომ ფერშლებმა უმეტეს ნაწილად, მედიცინისა არა იციან-რა იმის მეტი, რომ კარგად შეაზავებენ წამალსა, დროზედ დააღვეინებენ ავად-მყოფს და გაუწევენ ჯეროვან ფარეზობასა. ის კი, თუ რად ეძლევა ეს წამალი და არა სხვა, რა ელემენტებისდგან შესდგება იგი, თითოეულს ელემენტს რა გავლენა აქვს კაცის სხეულზედ და სხვა ამისთანები, არ ესმით მათ. ასეთს სულიერს ჰგზავნის ექიმი ავად-მყოფთან და თან ატანს მომხიბლავს წამალს. ვსთქვათ, ექიმს რაიმე მურტალი მისწრაფების წყალობით განუზრახავს ავად-მყოფის ანდერძის აგება. ფერშალიც უმანკო სულით ამზადებს წამალსა და აძლევს უძლურს ნათქვამისამებრ. ერთი სიტყვით, ასრულებს თავის მოვალეობას და ვერც-კი გრძნობს, რომ რაც უფრო მუყაითად ეკიდება ის თავის მოვალეობას, მით უფრო უახლოვებს უბედურს ავადმყოფს სიკვდილსა“.

წერა-კითხვის სამაგალითო გაკვეთილი ბ. ხეველისა ყველას მოეწონა და ჩვენც მოგვწონს. გზა, რომელსაც იგი ადგია, ის გზაა, რომელიც გარკვეულია დაწინაურებული პედაგოგებისაგან. ჯერ საგნის შესწავლა, მერმე ამ საგნის სახელის ანალიზი ხმების მხრივ, შემდეგ დაწერა ამ სახელისა და ბოლოს კითხვა დაწერილისა და დაბეჭდილი ასოებისა- აი კალაპოტი, რომელშიაც მოუთავსებია ბ. ხეველს თავისი გაკვეთილი. ამ კალაპოტს იგი

მტკიცედ ადგია, აძლევს ბავშვებს იმ გვარს კითხვებს, რომელნიც პირ-და-პირ შეეხებიან საგანსა. ჩვენ მხოლოდ ცოტა არეულად მიგვაჩნია რიგი კითხვებისა გაკვეთილის თავში, რომელთაც აზრად აქვთ საგნის- იის შესწავლა. კითხვები უნდა შეეხებოდნენ ჯერ საგნის ნაწილებსა, მერმე ამ ნაწილების თვისებათა და ბოლოს იმ ადგილს, რომელიც საგანს უჭირავს თავის მსგავს საგანთა შორის. ბ. ხველს კი საგნის ნაწილებისთვის ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია და გამოსდგომია იმისთანა რამეებს, რომელნიც ნაკლებად არიან საჭირონი. ჩვენ მის ადგილას კითხვებს დავალაგებდით ამ სახით: რა მიჭირავს ხელში? ია. რა არის ია? ყვავილი. რად ეძახით ყვავილსა? იმიტომ, რომ საამურს ყვავილს მოაბამს ხოლმე. როდის? გაზაფხულზე. რა ყვავილი იცით კიდევ? ვარდი, იასამანი, ნარგიზი და სხ. გავსინჯოთ კარგად ია. ამ ნაწილს რა ჰქვია? ფესვები. ფესვებზე რა არის ამოსული? ღერო. ღეროზე რა ასხია? ფოთლები. ფოთლებს შუა გაშლილ ნაწილზე რას მოიბამს ხოლმე? ყვავილსა. მაშასადამე, რავდენი ნაწილი ჰქონია იასა? ხუთი. ამის შემდეგ მოკლედ გავაცნობდით იის ნაწილების თვისებათა, მერმე შევადარებინებდით ვარდთან, მაგალითად, და ბოლოს შევუდგებდით ამ ყვავილის სახელის ანალიზსა იმ რიგად, როგორც ეს მოუხდენია გაკვეთილის ავტორს. ჩვენი შენიშვნა რომ ბ. ხველმა სახეში იქონიოს, ვგონებთ, შემდეგი გაკვეთილები უფრო უნაკლულონი გამოვიდნენ.

ვათავებთ ჩვენს საუბარს ნატვრით, რომ შემდეგი ნომრები „ნობათისა“ უფრო კიდევ უნაკლულონი და ღირსეულნი გამოსულიყვნენ.

ტექსტის ციფრული ვერსია მოამზადეს:

თბილისის 181-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: მარიამ მახარობლიძემ, აკაკი და ილია ბაქრაძეებმა.

